პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 26 ნოემბერი № 279 (16709) ფასი 2 კაპ. 1976

ხუთწლეული—ვადამდე!

პიროგას ასრულებენ

შახტმშენებელთა ნოგათი

ჰიათურა. შახტმშენებლებმა შეასრულეს 3.015 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და 12 ნოემბერს ქვეყანას უპატაკეს წლიური დავალების შესრულება.

ისინი მიცემულ პირობას ასრულებენ, ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადასცემენ ახალ საწარმოო სიმძლავრეებს. მთავრდება დარკვეთის ახალი მაღაროს მშენებლობა. დეკემბრიდან იგი წარმოების ციკლში ჩაირთვება და წლიურად 50 ათას ტონა მანგანუმს მისცემს დამიტროვის სახელობის მაღაროთა ხამმართველობა.

კონსტიტუციის დღისათვის კიდევ ერთი ახალი სიმძლავრე — ჭალების მაღარო ჩადგება მწყობრში. იგი წლიურად 100 ათას ტონა მანგანუმს გამოუშვებს.

ახალი ობიექტების მშენებლობაზე თავი ისახელეს იმ უბნების კოლექტივებმა, რომლებსაც ზ. გოგატიშვილი, ალ. ზაქარაშვილი და ა. კვიციანი მეთაურობენ. ისინი კისრულობენ, რომ წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით შეასრულონ 360 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოები.

ო. ნიჟარაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალქალაქელთა ფნ კარგი ოფლი

ახალქალაქელ მეკარტოფილეებმა კარტოფილის დამზადების დავალება გადამეტებით შეასრულეს, სახელმწიფოს მიჰყიდეს 24.000 ტონა კარტოფილი. მაშინ მათ ვალდებულება იკისრეს დამატებით სახელმწიფოსათვის 2.000 ტონა კარტოფილი მიეყიდათ. ეს პირობაც შესრულებულია. სულ ახალქალაქელებმა წლეულს სახელმწიფოს 26.000 ტონა კარტოფილი მიჰყიდეს. ეს რედაქციას აცნობა პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მოვსესიანმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ყურადღება არ მოვაკლოთ უმნიშვნელოვანეს მშენებლობებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა კაპიტალური მშენებლობა ცენტრალურ პრობლემად დაასახელა იმ პრობლემებს შორის, რომლებსაც წინა პლანზე აყენებს სახალხო მეურნეობის განვითარების მთელი მიმდინარეობა. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, კერძოდ, თქვა:

„ხუთწლეულის სამშენებლო პროგრამა დაჟანგულია. ახალი ფონდების ამოქმედების მოცულობა წლების მიხედვით გაიზრდება. ეს ნიშნავს, რომ დროის ფაქტორი ძირითადი ხდება და ზოზინის დრო აღარ არის, რომ უკვე ხუთწლეულის სტარტზე უნდა ვიმუშაოთ სრული უკუგებით. ეს უნდა გაითვალისწინონ როგორც თვით მშენებლებმა, ისე მგეგმავებმა, დამპროექტებლებმა, მომმარაგებლებმა, ყველამ, ვისზეც დამოკიდებულია მშენებლობის ვადები და ხარისხი“.

კაპიტალური მშენებლობის საკითხებს ხერხოზული ყურადღება დაეთმო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-4 პლენუმზე და მის შემდეგ გამართულ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. პლენუმისა და სესიის მოხსენებებსა და გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ თუ სერიოზულად არ გავუმჯობესეთ საქმის მდგომარეობა ამ დარგში, თუ ძირეულად არ შევცვალეთ მისდამი მიდგომა, მაშინ ვერ შევასრულებთ ჩვენი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დასახულ პროგრამას.

უკანასკნელ ხანს საქართველოში კაპიტალური მშენებლობის საქმეში გარკვეული წარმატებები მოვიპოვეთ. მაგალითად, მიმდინარე წლის ათი თვის უველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით მიღწეულია ზრდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გადიდდა შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა. მაგრამ კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობა ჯერ კიდევ უაღრესად დაძაბულია.

1976 წელს კაპიტალური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესრულების ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ ბჭობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების მდივნები, იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომლებზეც არის დამოკიდებული მშენებლობის საქმეთა მდგომარეობა.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგემ ბ. ა. ანდრონიკაშვილმა.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე ი. ნ. ციციშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ნ. ა. მეძმარიაშვილი, საქართველოს სსრ სახოფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ჯ. ი. ხიხარულიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მელითაშვილი, საქართველოს სსრ მთავარმომრაგების უფროსი ა. ი. ბუაძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. ხინობა, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. დ. რუხაძე.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის ათი თვის საგეგმო დავალებანი მთლიანად რესპუბლიკაში არ შესრულებულა. დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით კაპიტალური დაბანდებანი ათვისებულია 87 პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 90 პროცენტით. ერთიანად ფონდების ამოქმედების წლიური პროგრამა მხოლოდ 40 პროცენტით არის ათვისებულად. დარჩენილ ორ თვეში დავალების შესასრულებლად საჭირო იქნება დაახლოებით 700 მილიონი მანეთის ფონდების ამოქმედება.

მნიშვნელოვან ჩამორჩენა საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებლებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამშენებლო ორგანიზაციათა შუამავლობენ ედგება.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციებში საიჯარო სამუშაოთა პროგრამა არ შეუსრულებიათ № 4 ტრესტს — ქუთაისში, № 5 ტრესტს — ბათუმში, № 6 ტრესტს — სოხუმში, №№ 3, 713 ტრესტებს — თბილისში, ბათუმისა და ოზურგეთის სახლთსაშენებელ კომბინატებს, ცხინვალ მოძრავ მექანიზებულ კოლონას. თანაც, მათმა ერთ-ერთ ნაწილმა მიცულობის სამუშაოებშეასრულა გახული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

სასოფლო მშენებლობის სამინისტროში ჩამორჩენილთა შორის იან სამტრედიის, გურჯაანის, ცხაკაიას, მარნეულისა და ონჩამჩირის ტრესტები. ბევრია ჩამორჩენილი საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებს შორის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმ სანინამ მშენებლობას უწოდეს უპირველეს პრობლემა, რომელიც ყველაზე ზედმიწევნითს, ეცხრომელ ყურადღებას მოითხოვს. სამეგ ის ეს, რომ 10 თვის მანძილზე აფხაზეთის ასს რეგიონალურში საექსპლოატაციოდ გადაეცა წლიურ გეგმით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინის 47 პროცენტი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 2 პროცენტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 38 პროცენტი, ქ. თბილისში — 67 პროცენტ, ქ. ქუთაისში — 71 პროცენტი, ქ. რუსთავი — 91 პროცენტი. სულ რესპუბლიკაში ოქტომბრის მანძილზე საექსპლოატაციოდ უნ[illegible] 2 დაეცეს 344 ათასი კვადრატული მეტრ[illegible]ობის საცხოვრებელი ბინები, ანუ წლიუ[illegible] პრ[illegible]ამის 37 პროცენტი. თანაც, ეკოტა ობიექტი, რომლის წლის დამლევამდე [illegible]ქმება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელ[illegible] [illegible]ეთრად დაჩქარდა სამუშაოთა ტემპი. ასე[illegible] [illegible]ლობები გვაქვს სოხუმში, გაგრაში, [illegible] ქუთაისში, ცხინვალში, ტყვარჩელში. [illegible] დღემდე ვერ დაუცლიათ ტერიტორია [illegible]ბელი სახლის მშენებლობისათვის, რომ[illegible] [illegible]ინარე წლის დეკემბერში უნდა გადასცეს [illegible]ექსპლოატაციოდ.

გეგმასა და სანებნაო მშენებლობაში დაბანდებული კაპიტალის ფაქტიურ ათვისებას შორის სხვაობა 11 მილიონ 600 ათას მანეთს შეადგენს. იმის გამო, რომ ქ. თბილისში 1977 წლისათვის აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ საჭირო მარაგნამეტი, მინისტრთა საბჭომ სანებნაო მშენებლობისათვის დამატებით გამონახა 4 მილიონი მანეთი და ეს თანხა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით განამტკიცა. ამრიგად, შექმნილი მდგომარეობის პირობებში, როცა საშუალოდ თვეში მშენებლებს დაახლოებით 12 მილიონი მანეთის ათვისება უხდებოდათ, დარჩენილ დროში უნდა ავითვისოთ 41,6 მილიონი მანეთი, ვინაიდან დასაძლევი გვაქვს ჩამორჩენა და ასათვისებელი — დამატებითი სახსრები. ეს კი მოწმობს, რომ სანებნაო მშენებლობაში ტემპი ერთნახევარჯერ და მეტად უნდა გაიზარდოს.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს რთული პროგრამაა და მისი რეალიზაციისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ ყველა რეზერვი, უზრუნველყოთ მშენებლობანი მუშახელით, მივაღწიოთ მატერიალური რესურსების შეუფერხებელ მომარაგებას.

წლითიწლობით გრძელდება სერიოზული ნაკლოვანებანი რესპუბლიკის სასკოლო მშენებლობის ორგანიზაციის საქმეში. ბევრ ობიექტზე წლის დასაწყისში მაინცდამაინც არ ჩქარობენ, მერე კი, იცლის-აგვისტოში ძალ-ღონის დიდი დაძაბვით ძლივს ასწრებენ დასახული პროგრამის შესრულებას, რაც დაღს ასვამს ნაშუშევრის ხარისხს.

სასკოლო მშენებლობის წლევანდელი პროგრამის შესასრულებლად დარჩენილ დროში უნდა გადაეცეს სკოლები ქ. თბილისის ლენინის რაიონში, გორდაბნისა და ლენტეხის რაიონებში.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს სასკოლო მშენებლობის დაბარების მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ შეძენილი. საქმის მდგომარეობა რომ გავუმჯობესოთ, თქვეს თათბირზე, უპირველესი ყურადღება უნდა დავუთმოთ მშენებელთა კოლექტივების მობილიზაციას, რათა წლის დასაწყისიდანვე ასრულებდნენ სასკოლო მშენებლობის გეგმებს.

10 თვეში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 1,4-ჯერ მეტი ადგილი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. მაგრამ ჯერ მაინც ვერ ვიტყვით, რომ კარგად გვქონდეს გამოყოფილი სახსრების ათვისების საქმე. წლიური პროგრამის შესასრულებლად საჭიროა საექსპლოატაციოდ გადაეცეს სამი საბავშვო ბაღი ქ. თბილისის ლენინის რაიონში, აგრეთვე საბავშვო ბაღები კასპის, მცხეთის, ცხინვალის, ზესტაფონის, წალკის, სოხუმის, საგარეჯოს, გარდაბნის რაიონებში. ეს ამოცანა არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ სირთულეს, მთავარია ადგილობრივი პარტიული ორგანოები და საბჭოთა ორგანოები დაეხმარონ ამ მშენებლობებს მუშახელით უზრუნველყოფის საქმეში.

რესპუბლიკაში წლების მანძილზე ხისტემატურად არ სრულდება ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის გეგმა. მიმდინარე წელს კი გვაქვს რეალური შესაძლებლობა, რომ შეასრულოთ მათი ამოქმედების წლიური პროგრამა. პირველ რიგში, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად წარმატებით დამთავრდება დიდი საავადმყოფოების მშენებლობა ფოთში, ზუგდიდში, სოღნაღში, გულრიფშის რაიონის სოფელ ვლადიმიროვკაში.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები, განსაკუთრებით ფოთსა და ზუგდიდში, ქმედითს დახმარებას უწევენ სამშენებლო ორგანიზაციებს მშენებლობათა მუშახელით დაკომპლექტების, სხვა საწარმოთა სპეციალისტების მიზიდვის, უსტანდარტო მოწყობილობის დამზადების საქმეში და სხვა საკითხებში. ამასთანავე, ამ დარგში კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება ვერ არის დამაკმაყოფილებელი. საქმე ის არის, რომ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობაში არ არის ზუსტი კოორდინაცია მრავალ სუბსიდიარო ორგანიზაციას შორის. ბევრ ობიექტზე მეორდება ერთი და იგივე შეცდომა, სარეზერვო, ყოველთვის დროზე ვერ უზრუნველყოფენ მოწყობილობის მიწოდებას. მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ სერიოზულად უნდა გააანალიზონ ნაკლოვანებათა მიზეზები და აღარ დაუშვან მათი გამეორება.

სამუშაოების ტემპი ჩამორჩება რესპუბლიკის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო მშენებლობაზე. ამ ობიექტებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შექმნილმა ხელშეწყობამ შტაბებმა რამდენადმე შეანელეს საქმიანობა, რის შედეგად ზოგიერთ მშენებლობაზე დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა საექსპლოატაციოდ მათი გადაცემის საქმეში. მათ განეკუთვნება სოხუმის ქიმიური ქარხანა, რაჭის სამთომეტალურგიული კომბინატი, თბილისის კერამიკული კომბინატი და ხორცკომბინატი, წნორის მეცხოველეობის კომპლექსი, თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა.

(დასასრული მე-2 გვ.).

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი

25 ნოემბერს ნაშუადღევს ბუქარესტში გაიხსნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი.

თათბირში მონაწილეობენ დელეგაციები:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ერიხ ჰონეკერის მეთაურობით;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედვარდ გიერეკის მეთაურობით;

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა — რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნიკოლაე ჩაუშესკუს მეთაურობით;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის იანოშ კადარის მეთაურობით;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის გუსტავ ჰუსაკის მეთაურობით.

თათბირი გახსნა რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ჩაუშესკუმ, რომელიც გულთბილად მიესალმა ბუქარესტში ჩამოსულ დელეგაციებს.

26 ნოემბერს თათბირი მუშაობას განაგრძობს.

(საკდეხი).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა რუმინეთის უმაღლესი ორდენი

24 ნოემბერს რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ნ. ჩაუშესკუმ** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს** გადასცა უმაღლესი ორდენი — ლენინის პირველი ხარისხის „რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ვარსკვლავი“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ნათქვამია რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტში, ამ ორდენით დაჯილდოვდა დაბადების სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და იმ განსაკუთრებული წვლილისათვის, რომელიც რუმინეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, რუმინელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში მიუძღვის.

ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევისათვის** უმაღლესი ჯილდოს გადაცემის დროს სახელმწიფო საბჭოს დარბაზში იყვნენ რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მდივანი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მდივანი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კანდიდატები, რუმინეთის ეროვნული ეკონომიკის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

დარბაზში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ფ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამშრ. კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამშრ. ბ. ბ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ნ. როდიონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საკავშირო გენერალური დირექტორი ლ. ვ. ზამიატინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვ. ი. დრონდენკო.

ამხანაგებმა ნ. ჩაუშესკუმ და ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვები წარმოთქვეს.

ამხანაგ ნ. ჩაუშესკუს სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!

განსაკუთრებით მახარებს პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის სახელით და პირადად სულითა და გულით მოგილოცოთ თქვენი მოახლოებული იუბილეი — დაბადების სამოცდამეათე წლისთავი და სოციალიზმისა და კომუნიზმის მაღალი იდეალებისათვის, საბჭოთა ქვეყნის აყვავებისა და პროგრესისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმისათვის თქვენს ნაყოფიერ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

ასევე სულითა და გულით გილოცავთ რუმინეთის სამატიო ჯილდოს, რომელსაც სიამოვნებით გადმოგცემთ. ეს ჯილდო მაღალი შეფასებაა, რომელსაც ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი აძლევს თქვენს წვლილს რუმინეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის, რუმინელი და საბჭოთა ხალხების თანამშრომლობისა და მეგობრობის განვითარების საქმეში. იგი გამოხატავს, თუ რა დიდად ვაფასებთ ჩვენ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ტრადიციულ კეთილმეზობლობის ურთიერთობას, სოლიდარობასა და ურთიერთგაგებას.

ჩვენ აგრეთვე ვიცით და გვთესებთ, თუ რა დიდ როლს ასრულებთ თქვენ, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეთაური საბჭოთა კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდი საქმის ხელმძღვანელობაში, თქვენი ქვეყნის ეკონომიური და საზოგადოებრივი განვითარებისათვის დაუცხრომელ საქმიანობაში, საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებებში, რომლებსაც ღრმა და გულწრფელ მეგობრული სიხარულით ვადევნებთ თვალს.

რუმინელი კომუნისტები, რუმინელი ხალხი კარგად იცნობენ აგრეთვე თქვენს უდიდეს საქმიანობას, რომელსაც საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში ეწევით, თქვენ უთვალსაჩინოს წვლილს მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების საქმეში სოციალიზმის, სოციალური პროგრესის, დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის ინტერესებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ დღევანდელ გამოსვლაში რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგზე, ჩვენ დიდად ვაფასებთ, ამხანაგო ბრეჟნევ, რუმინეთში თქვენი ვიზიტის შედეგს, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის სულისკვეთებით ჩაგალი ჩვენი მოლაპარაკების ნაყოფს. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მიღწეული შედეგები და ხელმოწერილი ერთობლივი განცხადება ახალ ფართო პერსპექტივას უსახავს რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის, ჩვენი ორი ქვეყნის პარტიების ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებას, რაც შეესაბამება ჩვენი ხალხების ინტერესებს, სოციალიზმისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნების პარტიები და მთავრობები ასეთი სულისკვეთებით შესაბამისად საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ, რათა შესრულდეს ჩვენ მიერ მიღწეული მორიგება მეგობრობის, ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივი განვითარების, სხვადასხვა დონეზე დელეგაციების გაცვლის მიზნით. ეს აგრეთვე ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების მშრომელთა ტურისტული და სხვა მოგზაურობის განვითარებას რუმინეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის მუდმივი გაფართოების მიზნით.

პირველი ხარისხის „რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ვარსკვლავი“ — ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ორდენი, რომელსაც დღეს გადმოგცემთ, ნათლად გამოხატავს ჩვენი ორი ხალხის მეგობრობის გრძნობებს, ჩვენს ერთობლივ სურვილს კვლავაც ვიაროთ რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის კეთილი ურთიერთობის კურსის განვითარების გზით.

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ, ერთხელ კიდევ გულითადად გილოცავთ და ჩვენი პოლიტიკური აღმასკომის სხვა წევრებთან ერთად გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას შრომაში, დღეგრძელობას, ბედნიერებას და ახალ დიდ წარმატებებს, რათა შეგესრულებინოთ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის ხალხების ხელმძღვანელობის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების პასუხსაგები ამოცანები, კვლავაც გეღვაწოთ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

სულითა და გულით რუმინელი ტრადიციისამებრ გისურვებთ: მრავალჟამიერ!

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ჩაუშესკუ!

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ვიღაც რა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს ჯილდოს, მინდა გულითადი, წრფელი მადლობა მოვახსენო რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, თქვენი ქვეყნის სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობას ამ დიდი პატივისათვის, მე რომ დამდეთ.

როგორ შევფასო ეს ჯილდო?! რა აზრისა ვართ ჩვენ, კომუნისტები, საერთოდ ჯილდოებზე? მე ეს ორდენი იმის აღიარებად მიმაჩნია, რომ სწორი უტყუარი და ფრიად მნიშვნელოვანია პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ადგანან, ამ საქმის სიდიადის აღიარებად მიმაჩნია, რომელსაც მე ვემსახურები, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

ჩვენ, კომუნისტებმა, ჩვენი სიცოცხლე, ენერგია, ცოდნა მიგუძღვნია ამ საქმეს, რომ ვამტკიცოთ კომუნიზმი — ყველაზე სამართლიანი, ჰუმანური და ბედნიერი საზოგადოება ქვეყნად. ჩვენ მთელ ძალ-ღონეს ვიბრძოლ ამ საქმეს, რომ ნაყოფიერად და ეფექტიანად ვითარდებოდეს სოციალისტური ხალხების თანამშრომლობა ამ დიადი მიზნის მისაღწევად. ჩვენ ძალ-ღონის დაუზოგავად ვიღვწიეთ, რათა ყველაზე სასაკეთო საერთაშორისო პირობები შევუქმნათ სოციალისტურ განვითარებას, ყველა ხალხის პროგრესს. თვნამედროვე ეთიკრებაში კი ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს, რომ საჭიროა თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომის საფრთხე, ვიბრძოლოთ განიარაღებისათვის, უზრუნველყოთ ქვეყნად ნამდვილად მტკიცე მშვიდობა და ჩვენი, კაცობრიობის, ბედნიერება.

ალანტან ყველა ხალხის კეთილმეზობლური თანამშრომლობა.

ეი ამ ისტორიული ამოცანების თვალსაზრისით საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის თაობაზე მინდა მოვახსენო, რომ ყოველ ღონეს ვბრძარობთ, რათა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შეეფუფყოთ ხელი ჩვენი ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას. ჩვენს ერთობლივ ბრძოლას საერთო კეთილშობილური მიზნებისათვის.

რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებიც ერთმანეთის მხარდამხარ მიდიან ამ გზით, ამრავლებენ ძმობისა და სოლიდარობის ტრადიციებს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ქარცეცხლსა და სოციალისტური მშენებლობის საადგ დღეებში რომ გამოიწრთო.

რახან რუმინელ მეგობრებს მიაჩნიათ, რომ ამ ჩვენს საერთო დიდ საქმეს მეც დავდე მცირეოდენი ამაგი, მეც მომიძღვის ღვაწლი როგორც კომუნისტსა და ხელმძღვანელს, ბუნებრივია, ამ თქვენს ჯილდოს მადლიერების გრძნობით ვიღებ.

მაგ კიდევ უფრო აყვავდეს ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობა, რომელიც სათავეში უდგას მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლას

მაგ კიდევ უფრო განმტკიცდეს და გაფრმავდეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობა, ჩვენი ფასდაუდებელი საერთო განძი!

კიდევ ერთხელ მადლობა მოგიხსენებია, ამხანაგებო!

* * *

ამხანაგების ნ. ჩაუშესკუსა და ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში.

ორდენის გადაცემის დამსწრე საბჭოთა და რუმინელმა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა გულთბილად მიულოცეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ეს მაღალი ჯილდო.

ბუქარესტი. 24 ნოემბერს რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამხანაგმა ნ. ჩაუშესკუმ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა უმაღლესი ორდენი — ლენინის პირველი ხარისხის „რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ვარსკვლავი“. სურათზე: უმაღლესი ჯილდოს გადაცემის დროს.

საკდეხი-საქინფორმის ტელეფოტო.

ამხანაგ ნ. ჩაუშესკუს სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!

განსაკუთრებით მახარებს პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის სახელით და პირადად სულითა და გულით მოგილოცოთ თქვენი მოახლოებული იუბილეი — დაბადების სამოცდამეათე წლისთავი და სოციალიზმისა და კომუნიზმის მაღალი იდეალებისათვის, საბჭოთა ქვეყნის აყვავებისა და პროგრესისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმისათვის თქვენს ნაყოფიერ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

ასევე სულითა და გულით გილოცავთ რუმინეთის სამაკიო ჯილდოს, რომელსაც სიამოვნებით გადმოგცემთ. ეს ჯილდო მაღალი შეფასებაა, რომელსაც ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი აძლევს თქვენს წვლილს რუმინეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის, რუმინელი და საბჭოთა ხალხების თანამშრომლობისა და მეგობრობის განვითარების საქმეში. იგი გამოხატავს, თუ რა დიდად ვაფასებთ ჩვენ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ტრადიციულ კეთილმეზობლობის ურთიერთობას, სოლიდარობასა და ურთიერთგაგებას.

ჩვენ აგრეთვე ვიცით და გვთესებთ, თუ რა დიდ როლს ასრულებთ თქვენ, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეთაური საბჭოთა კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდი საქმის ხელმძღვანელობაში, თქვენი ქვეყნის ეკონომიური და საზოგადოებრივი განვითარებისათვის დაუცხრომელ საქმიანობაში, საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებებში, რომლებსაც ღრმა და გულწრფელ მეგობრული სიხარულით ვადევნებთ თვალს.

რუმინელი კომუნისტები, რუმინელი ხალხი კარგად იცნობენ აგრეთვე თქვენს უდიდეს საქმიანობას, რომელსაც საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში ეწევით,

განცხადება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის თანამშრომლობის და ძმური მეგობრობის შემდგომი განვითარების შესახებ

რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნიკოლაე ჩაუშესკუს მიწვევით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევი 1976 წლის 22-24 ნოემბერს მეგობრული ვიზიტით იყო რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში.

ვიზიტის დროს ლ. ი. ბრეჟნევსა და ნ. ჩაუშესკუს შორის გაიმართა მოლაპარაკება, რომელშიც გულთბილი მეგობრობისა და გულითადი ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

— საბჭოთა კავშირის მხრივ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. პელშე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ნ. როდიონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საკავშირო ფინანსთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ფ. ა. ანანიაშვილი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვ. ი. დრონზენკო;

— რუმინეთის მხრივ: რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, მთავრობის პრემიერ-მინისტრი მანეა მენესესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შტეფან ვოიტეკი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ილიე ვერდეცი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი შტეფან ანდრეი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი აურელ დუმა, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჭორჯე მაკოვესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუმინეთის კომპარტიის ბენერალური მდივნის თანაშემწე მირჩა მალიცა, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუმინეთის კომპარტიის ბენერალური მდივნის თანაშემწე ვასილე პუნგანი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუმინეთის კომპარტიის ბენერალური მდივნის თანაშემწე კონსტანტინ მიტია, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში გეორგე ბადრუსი.

რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ყოფნის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და მასთან ერთად ჩასული პირნი შეხვდნენ ბუქარესტელ მშრომელებს, პარტიულ და სახელმწიფო მუშაკებს, მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის მიტინგში, რომელმაც ცხადყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ძმური ურთიერთობა.

საპატიო საბჭოთა სტუმრებს ყველგან მხურვალედ და გულითადად ხვდებოდნენ, რაც საბჭოთა და რუმინელი ხალხების მეგობრობისა და სოლიდარობის გრძნობების გამოხატულებაა.

* * *

მოლაპარაკების დროს მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს, თუ როგორ მიმდინარეობს თავიანთ ქვეყნებში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობა, როგორ ხორციელდება სკკპ XXV ყრილობისა და რუმინეთის კომპარტიის XI ყოილობის გადაწყვეტილებები, განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საკითხები, ერთმანეთის გაუზიარეს აზრი მსოფლიო პოლიტიკის, საერთაშორისო კომუნისტური და შრომითი მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე.

რუმინეთის მხარემ მაღალი შეფასება მისცა წარმატებებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწიეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში. საბჭოთა კავშირის მიღწევები კომუნიზმის მშენებლობაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის მისი ბრძოლა დიდმნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობის, სოციალიზმისა და პროგრესის ძალების განმტკიცებაში, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მოგვარებაში. სკკპ XXV ყრილობის მიერ განსაზღვრული გრანდიოზული ამოცანების განხორციელება კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის შთამაგონებელ პერსპექტივებს სახავს.

საბჭოთა მხარემ მაღალი შეფასება მისცა წარმატებებს, რომლებიც რუმინელმა ხალხმა მოიპოვა რუმინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებაში. ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებაში რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევები, მისი საქმიანობა საერთაშორისო თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი წვლილია სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის წინსვლაში, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაში. ამჟამად რუმინელი ხალხი, რომელიც რუმინეთის კომპარტიის XI ყრილობის მიერ შემუშავებულ პროგრამას ახორციელებს, თავისი სამშობლოს კომუნისტურ მომავალს ქმნის.

მხარეებმა კმაყოფილებით დაადასტურეს, რომ სულ უფრო მრავალმხრივი ხასიათი ეძლევა საბრალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი

ბჭოთა კავშირ-რუმინეთის თანამშრომლობას, რომელიც ვითარდება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1970 წლის 7 ივლისის ხელშეკრულების ბაზაზე, თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ამხანაგური ურთიერთგაგების პრინციპების უაღრესი პატივისცემის პირობებში.

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის ყოველმხრივ განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის თანამშრომლობის გაფართოება და მათი სოლიდარობის განმტკიცება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის შეხვედრები. ორივე პარტიის ცენტრალური კომიტეტების წარმომადგენელთა რეგულარული კონტაქტები, პარტიულ დელეგაციათა გაცვლა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების კავშირურთიერთობა — ყოველივე ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ყველა დარგში საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის განუწყვეტელ გაღრმავებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და რუმინეთის კომუნისტურ პარტიას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ყოველნაირად განავითარონ ამხანაგური თანამშრომლობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, თანასწორუფლებიანობის პრინციპების საფუძველზე, ერთმანეთისადმი ნდობისა და პატივისცემის სულისკვეთებით, განამტკიცონ საბჭოთა და რუმინელი ხალხების ძმური შეგობრობა, როგორც შეესაბამება სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ძირეულ ეროვნულ ინტერესებს, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებს. ორივე პარტია გაიფართოებს გამოცდილების გაზიარებას სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში, თანამშრომლობას იდეოლოგიურ დარგში, ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული ორგანოების, აგრეთვე პროფკავშირული, ახალგაზრდათა, ქალთა და სხვა მასობრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ურთიერთვიზიტებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და რუმინეთის კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ სულ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ ორი ქვეყნის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა, და საჭიროდ მიიჩნიეთ პოზიციათა შეთანხმების მიზნით, გააფართოონ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებსა და ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე ინფორმაციის გაცვლისა და კონსულტაციათა მოწყობის პრაქტიკა, გაღრმავონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუმინეთის დიდი ეროვნული კრების, სამინისტროებისა და უწყებების, ოლქების, მაზრების, ქალაქების, საწარმოებისა და შრომითი კოლექტივების თანამშრომლობა.

ეკონომიური თანამშრომლობის საკითხების განხილვისას ორი პარტიის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საქონელგაცვლის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. ვითარდება აგრეთვე საწარმოო კოოპერაცია, თანამშრომლობა ეკონომიური პროექტების განხორციელებასა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაში — როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფუძველზე, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

მხარეებმა დათქვეს, რომ ორივე ქვეყნის შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფენ 1976-1980 წლებიდან ხუთწლიანი საავჭრო შეთანხმების განხორციელებას და ეცდებიან მის გადაჭარბებით შესრულებას, შეუდგებიან 1980 წლის შემდეგ პერიოდში ეკონომიური თანამშრომლობის პერსპექტიული პროგრამის შეშუშავებას, რათა უზრუნველყონ მისი არსებითი გაფართოება, საწარმოო კოოპერაციისა და სპეციალიზაციის დაჩქარებული განვითარება, მათი წილის გადიდება ეკონომიური ურთიერთობის საერთო მოცულობაში.

საბჭოთა კავშირი და რუმინეთი მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე დარგებში განავითარებენ ნაყოფიერ თანამშრომლობას, რომელიც არსებითს როლს ასრულებს სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში.

ორივე მხარემ გადაწყვიტა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სხვა ქვეყნებთან ერთად კვლავაც შეუწყონ ხელი კომპლექსური პროგრამის, აგრეთვე მატერიალური წარმოების მთელ რიგ მთავარ მიმართულებათა იმ გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების დებულებათა შესრულებას, რომლებიც ახლა მუშავდება.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობის გაღრმავებას განათლების, კულტურისა და ხელოვნების დარგში, და მხარი დაუჭირეს იმას, რომ გაფართოვდეს თანამშრომლობა და კონტაქტები კულტურულ დაწესებულებებს, შემოქმედებითს კავშირებს, გამომცემლობებს, მეცნიერებს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, სამხატვრო კოლექტივებს, ჟურნალისტებს შორის, აგრეთვე ტურიზმისა და სპორტის დარგში. შეთანხმდნენ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გააფართოებენ კომუნისტურ და სოციალისტურ მშენებლობაში საბჭოთა და რუმინელი ხალხების მიღწევათა ყოველმხრივ გაშუქებას, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის შემდგომ გაღრმავებას. მიზანშეწონილად მიიჩნიეს განახილონ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კულტურული თანამშრომლობის შერეული სამთავრობო კომისიის შექმნის საკითხი.

* * *

საერთაშორისო საკითხებზე აზრთა გაზიარების დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მსოფლიო ისპარეზზე მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები მიღწეულია იმის მეოხებით, რომ გაიზარდა სოციალისტური ქვეყნების ძალიერება, მათი აქტიური საქმიანობა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად, მათი თანამშრომლობა განვითარებას ქვეყნებთან, მიუმხრობელ სახელმწიფოებთან, მთელ დემოკრატიულ, პროგრესულ, ანტიიმპერიალისტურ ძალებთან, რომლებიც სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ საერთაშორისო ცხოვრებაში. საერთაშორისო ურთიერთობაში სულ უფრო მეტად მკვიდრდება დაძაბულობის შენელებისა და იმ პრობლემების პოლიტიკური საშუალებით გადაწყვეტის კურსი, რომლებსაც თანამედროვე კაცობრიობა აწყდება, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

ორივე ხელმძღვანელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ევროპის ახლანდელ ვითარებას და მისი მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის პერსპექტივებს. სრულიად ევროპის სახელმწიფოთა თათბირს, რომლის მოწვევის ინიციატივა ვარშავის ხელშეკრულების წევრმა ქვეყნებმა გამოიჩინეს 1966 წლის ბუქარესტში, დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და ევროპის კონტინენტზე მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების დამატებითი შესაძლებლობანი დასახა. საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ყველა სახელმწიფო, რომლებმაც ხელმოწერეს ხელშეკრულება აქტს, რომელიც ერთ მთლიანს წარმოადგენს, განუხრელად ახორციელებდეს ამ აქტში ჩამოყალიბებულ პრინციპებს და შეთანხმებებს. ამასთანავე მათ აღნიშნეს, რომ საჭიროა პოლიტიკური დაძაბულობის შენელება შეიცვალოს და განმტკიცდეს ევროპაში სამხედრო დაპირისპირების საფრთხის შესუსტებისა და განიარღების კონკრეტული ღონისძიებებით.

სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეხვედრა, რომელიც 1977 წელს უნდა გაიმართოს ბელგრადში, შესაძლებლობის შექმნის საბოლოო აქტის განსახორციელებლად სახელმწიფოთა თანამშრომლობის პოზიტიური გამოცდილების თვალსაზრისით გაგრძელდეს მრავალმხრივ საფუძველზე აზრთა გაზიარება სრულიად ევროპის თანამშრომლობის განვითარებისა და უშიშროების განმტკიცების შემდგომ ღონისძიებათა შესახებ.

ორი პარტიის ხელმძღვანელები თვალისწინებენ, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ მოქმედებენ რეაქციული იმპერიალისტური ძალები, რომლებსაც შეუძლიათ საფრთხე შეუქმნან ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას, და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა მთელი პროგრესული ძალების გაერთიანება და ხალხთა ბრძოლის გაქტიურება დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის კურსის განმტკიცებისათვის, იმპერიალისტური, კოლონიალისტური და ნეოკოლონიალისტური პოლიტიკის ლიკვიდაციისათვის, იმისათვის, რომ დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის კურსი შეუქცევადი გახდეს, თავის მხრივ სსრ კავშირი და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა კვლავინდებურად იბრძოლებენ ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის, თვითეული ხალხის იმ უფლებისათვის, რომ დამოუკიდებლად აირჩიონ თავიანთი სოციალურ-ეკონომიური განვითარების გზა.

ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცებას სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, მათთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებას. ინტერნაციონალური სოლიდარობის პრინციპების საფუძველზე სუვერენული და თანასწორუფლებიანი სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის მუდმივ სრულყოფას, ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობის ფორმირებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში, როცა სულ უფრო მეტი ხალხი უქერს მხარს ახალ სოციალისტურ წყობილების აშენებას.

მხარეებმა დაადასტურეს საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის თანამიმდევრული პოლიტიკა განვითარებულ და მიუმხრობელ ქვეყნებთან, აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა სოციალური წყობილების ყველა სახელმწიფოსთან თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებაში, რაც ხალხთა ძირეულ ინტერესებს შეესაბამება.

სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის აზრით, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება მოითხოვს იმ ღონისძიებათა გაძლიერებას, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და ომის მატერიალური მომზადების მთელი მექანიზმის მოსპობის უზრუნველყოფა. მტკიცე და საიმედო მშვიდობა მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუ განხორციელდება საყოველთაო და სრული განიარაღების, მათ შორის ატომური განიარაღების ქმედითი ღონისძიებანი. საბჭოთა კავშირი და რუმინეთი მზად არიან მხარი დაუჭირონ ნებისმიერ კონსტრუქციულ ღონისძიებებს ამ მიზნის მისაღწევად. ისინი მოითხოვენ მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია განიარაღების საკითხზე, რომელიც პირველი ეტაპი იქნება განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის გზაზე.

ორივე მხარის აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნება იმ დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობს სადავო საკითხების გადაწყვეტისას ძალის გამოყენებაზე ან მისი გამოყენებით დამუქრებაზე უარის თქმის პრინციპის დამკვიდრებას სახელმწიფოთა ურთიერთობის ურყევ კანონად. ამ მიზნის ხელს შეუწყობდა მსოფლიო ხელშეკრულების დადება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოყენებლობის შესახებ. მხარეები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმ ფაქტის გამო, რომ მსოფლიოს 88 სახელმწიფომ უკვე დაუჭირა მხარი ასეთი ხელშეკრულების დადების საქირობას.

სსრ კავშირი და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა მხარს უჭერენ ახლო აღმოსავლეთში სამართლიან და მტკიცე პოლიტიკურ მოწესრიგებას. ისინი აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ყოველნაირად შეუწყონ ხელი ასეთი მოწესრიგების მიღწევას იმ საფუძველზე, რომ ისრაელმა გაიყვანოს ჯარები 1967 წელს ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან, დაკმაყოფილდეს პალესტინელი ხალხის კანონიერი ეროვნული მისწრაფებანი, საკუთარი სახელმწიფოს შექმნის ხელ[illegible] შეუვალი უფლება, უზრუნველ[illegible] — [illegible] ყოფილ ტერიტორიებზე [illegible] ისინი ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის უშიშროება და მთლიანობა. ისინი მიესალმებიან ლიბანში მშვიდობიანი მოწესრიგების დაწყებულ პროცესს. საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის აზრით, სრულიად აუცილებელია მუშაობა განაახლოს ჟენევის სადავო კონფერენციამ ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მონაწილეობით.

ორი პარტიის ხელმძღვანელები მიესალმნენ ვიეტნამის, ლაოსისა და კამპუჩიის ხალხთა ისტორიულ გამარჯვებებს. მათ კვლავ დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტრუქციულ წინადადებებს ქვეყნის მშვიდობიანი და დამოუკიდებელი გაერთიანების შესახებ. მხარეებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ნამიბიისა და ზიმბაბვეს ხალხთა ბრძოლას კოლონიური ბატონობისა და აპარტეიდის ლიკვიდაციისათვის, სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმის სისხლიანი რეპრესიების წინააღმდეგ.

სსრ კავშირი და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა მხარს უჭერენ განვითარებადი ქვეყნების ბრძოლას იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის მიერ თავსმოხვეული არათანასწორუფლებიანი ეკონომიური ურთიერთობის ლიკვიდაციისათვის, თვითეული ხალხის იმ უფლების დამკვიდრებისათვის, რომ თვითონ იყოს თავისი ეროვნული სიმდიდრის ბატონ-პატრონი, იმისათვის, რომ სამართლიან დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნას საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობა. განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნებში — „დაყარდეს ახალი საერთაშორისო ეკონომიური წყობა“ — თავის გამოხატულობას პოულობს ამ ქვეყნების ის კანონიერი მისწრაფებანი, რომ ბოლო მოეღოს კოლონიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმს ეკონომიურ ურთიერთობაში, აღმოიფხვრას განვითარებულ და განვითარებადს ქვეყნებს შორის არსებული სხვაობა, უზრუნველყოფილ იქნეს განვითარებადი სახელმწიფოების დაჩქარებული განვითარება.

ორივე ქვეყანა იმის მომხრეა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად გაძლიერდეს მისი როლი იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებსაც თანამედროვე კაცობრიობა აწყდება, მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარებაში.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის აზრით, თანამედროვე ეპოქის არსებითი ნიშანი ის არის, რომ ეროვნული და საერთაშორისო თვალსაზრისით იზრდება და სულ უფრო მეტად მკვიდრდება რევოლუციური და დემოკრატიული ძალები, ხალხთა ფართო მასები. უპირველესი როლი განკუთვნება მუშათა კლასს, კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, რომლებიც კაცობრიობის საარსებო ინტერესებსა და მისწრაფებებს ადგენენ, ამ ინტერესებს [illegible] ... [illegible] — [illegible] ... [illegible] გაზარდეს გაგლენა მასებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და რუმინეთის კომუნისტურ პარტიას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის საფუძველზე, თვითეული მომე პარტიის თანასწორუფლებიანობის და დამოუკიდებლობის სრული პატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პირობებში.

ორივე პარტიის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენცია დიდი მოვლენა იყო კონტინენტის, ევროპის კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ცხოვრებაში, ცხადყო კომუნისტების უდიდესი როლი მშრომელთა ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლაში. ბერლინში ერთსულოვნად მიღებული დოკუმენტი ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის შემდგომი ბრძოლის დიდმნიშვნელოვან მიზნებს სახავს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და რუმინეთის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად შეიტანენ წვლილს ამ საერთო მიზნების მიღწევაში.

ორივე პარტია მხარს უჭერს თანამშრომლობის განვითარებას მთელ პროგრესულ, დემოკრატიულ, ანტიიმპერიალისტურ ძალებთან ქვეყნად მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და პროგრესის საქმის წინ წაწევისათვის ბრძოლაში.

* * *

საბჭოთა და რუმინეთის მხარეებმა სრული კმაყოფილება გამოხატეს ვიზიტის შედეგების გამო, მათ გამოთქვეს რწმენა, რომ ვიზიტი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და რუმინეთის კომპარტიის მდივნისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნაყოფიერი მოლაპარაკება საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, ისინი ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, საბჭოთა და რუმინელი ხალხების ურღვევი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაფართოებას ორივე ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის, სოციალისტური ქვეყნების ერთობის განმტკიცების, მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და მშვიდობის საერთო საქმის საკეთილდღეოდ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიჩ-ძე ბრეჟნევმა, რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიკოლაე ჩაუშესკუ შეგობრული ვიზიტით მიიწვია სსრ კავშირში მისთვის მოსახერხებელ დროს. ამ მიწვევას იგი კმაყოფილებით დათანხმდა.

ლ. ი. ბრეჟნევი
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი

ნიკოლაე ჩაუშესკუ
რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ბუქარესტი, 1976 წლის 24 ნოემბერი.

ყურადღება არ მოვაკლოთ უმნიშვნელოვანეს მშენებლობებს

(დასასრული)

თვითეული შტაბის, ადგილობრივი პარტიული ორგანოების ღირსების საქმე ის არის, აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა, რომ დროულად აღმოფხვრან ნაკლოვანებანი და წლის დამლევამდე უზრუნველყონ ყველა უმნიშვნელოვანესი სამრეწველო მშენებლობის ამოქმედება.

დაუმთავრებელი მშენებლობის პრობლემის გადაჭრა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომელიც კაპიტალური მშენებლობის წინაშეა დასახული სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით და ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე. უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა განხორციელდა კაპიტალური დაბანდებებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კონცენტრაციისათვის ასამუშავებელ მშენებლობებზე ერთდროულად მშენებარე ობიექტების რიცხვის შემცირებისათვის. განხორციელებულმა ღონისძიებებმა მარტო ამ სამი წლის მანძილზე შესაძლებლობა მოგვცეს 73 მილიონი მანეთით, ანუ ექვსი პროცენტით შეგვემცირებინა დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა.

მაგრამ რესპუბლიკაში დაუმთავრებელი მშენებლობის დონე ჯერ კიდევ მაღალია და ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა იგი ნორმატივამდე დავიყვანოთ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე ამ პრობლემას დიდი ყურადღება დაეთმო, დაწვრილებით იყო ზეგანალიზებული საქმეთა მდგომარეობა და ჩამორჩენის მიზეზები. თათბირის მონაწილეებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში დაუმთავრებელი მშენებლობა სამეურნეო ხელმძღვანელების უპასუხისმგებლობისა და უგულგულობის შედეგია. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში წესრიგის დამყარებას უეჭველია ხელს შეუწყობენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, თუ სპეციალურად და დეტალურად განიხილავენ ამ საკითხს.

თათბირზე აღინიშნა აგრეთვე კომუნალურ მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებანი.

განსაკუთრებით აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ ზუსტად განსაზღვრა მშენებლობაში ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის გზები, კაპიტალური მშენებლობა ნომერ პირველ საქმედ დაუსახა რესპუბლიკის მთელ პარტიულ ორგანიზაციას; მაგრამ ფაქტიური მდგომარეობა მოწმობს, რომ გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე ჯეროვნად არ ხორციელდება, ბევრმა პარტიულმა კომიტეტმა კი ვერ უზრუნველყო სათანადო კონტროლი და აქტიური ზემოქმედება რესპუბლიკის მშენებლობებზე საქმეთა მდგომარეობის გამოსასწორებლად. მთელ რიგ შემთხვევებში კომუნისტები არ იჩენენ მებრძოლურ თვისებებს, პრინციპულობასა და ნამდვილ გერგილიანობას დასახული მიზნების მიღწევაში. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები კი ზოგჯერ სამეურნეო ხელმძღვანელების მაგიერობას ეწევიან ან მათ ერთგვარ მეურვეებად უდგებიან. ეს ზოგჯერ სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, შემკვეთებს სხვისი მოიმედობის გრძნობას უღვიძებს, ნაცვლად იმისა, რომ ზუსტად და დროულად, მთლიანი მოცულობით ასრულებდნენ თავიანთ უშუალო უფლებებს.

კაპიტალური მშენებლობის დარგში მიმდინარე წლის საარსებო ამოცანების გადაწყვეტისა და მომავალ წლის მუშაობის სამედო მარაგშემტის შექმნისათვის, თათბირის მონაწილეებმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ უთუოდ შესრულდეს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური დაკალებები, ათვისებულ იქნეს კაპიტალური დაბანდებანი და განხორციელდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

შეიქმნა კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ი. ი. ქედიშვილის ხელმძღვანელობით, რომელშიც შედიან შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. კომისია 1977 წლის იანვრის დამლევამდე ყოველდღიურად განიხილავს მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესრულების მიმდინარეობას. მას უფლება აქვს მიიღოს მუშახელით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, ტრანსპორტით და სხვა საშუალებებით უმნიშვნელოვანეს მშენებლობათა უზრუნველყოფის გადაუდებელი ზომები.

მშენებლობის ფინანსური საკითხების ოპერატიული გადაწყვეტის მიზნით საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ფ. ა. ანანიაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა კომისია, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის სახბანკისა და მშენბანკის რესპუბლიკური კანტორების ხელმძღვანელები, სხვა სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲙᲐᲚᲗᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐᲡ

რას გვიჩვენებს საქანგარიშო-საარჩევნო კრებები?

ᲘᲡᲔᲕᲔ, როგორც მთელ რესპუბლიკაში, ჩვენს ქალაქშიც მალე დამთავრდება პირველადი პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნები.

ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანია მიმდინარეობს განსაკუთრებული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში.

წლევანდელი საანგარიშო-საარჩევნო კრებების დღის წესრიგშია „გაწეული მუშაობის ანგარიში და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ საკკ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანები". საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიზანია პასუხი გასცეს მთავარ კითხვას: რამდენად სწორად, ღრმად, გააზრებულად და კვალიფიციურად განსაზღვრეს პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი ადგილი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, საკკ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებით დასახული ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში და როგორია ამ მიმართულებით პირველი შედეგები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტი შეეცადნენ გამოეყენებინათ ის დადებითი, რაც მათ და რესპუბლიკის მოწინავე საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს წინა წლებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე წარმართვისას.

მოსამზადებელი მუშაობის არსი იმაშიც მდგომარეობდა, რომ წლეულს აღარ განმეორებულიყო ზოგიერთი შეცდომა და ხარვეზი, რამაც შარშან საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ერთგვარი წარმატების მიუხედავად აქა-იქ მაინც იჩინა თავი.

საქალაქო კომიტეტის განყოფილებების მიერ შემუშავებული იქნა კომპლექსური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დასახულ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელების გზებსა და საშუალებებს.

საქალაქო კომიტეტის წევრები, წევრობის კანდიდატები, ხარევეზიო კომისიის წევრები და საქალაქო კომიტეტის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები მიმაგრებული არიან პირველად პარტორგანიზაციებზე მათთვის დახმარების გასაწევად. ყოველკვირეულად ვიწევთ ოპერატიულ თათბირებს, რომლებზეც ანალიზს ვუკეთებთ უკვე ჩატარებულ კრებებს და ვსახავთ სჭირო ღონისძიებებს მომავალი კრებების უკეთ ჩატარებისათვის. საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობაზე სპეციალურად ამსელი საქალაქო კომიტეტის ბიუროსაც.

მეტად დაებინი შედეგი გამოღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიერ ამ ოლო წლები დამკვიდრებულმა ტრადიციამ, ოლის მიზანია საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ცენტრალურ კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების, საქართველოსსრ უმაღლესი საბჭოსა და მისტრთა საბჭოს პასუხისმგებელ მუშაკების, სამინისტროთა დ უწყებათა ხელმძღვანელების, ცხიერებისა და კულტურის მოაწეთა საქმიანი მონაწილეობა. ინი წინასწარ გაეცნენ საქმის ვარეგას პარტიულ ორგანიზაციებ, შეისწავლეს მათი მუშაობის თავისებურებები, დაეხმარნენ კუნსტებს — შეეგმუშავებინათ ომითი კოლექტივების საქმიანის გაუმჯობესების, პარტიული ელმძღვანელობის ფორმებისა დათოდების სრულყოფის ღონისძანი.

ამან ხელი უწყო იმას, რომ ანგარიშგება-აინებმა მეტ წილ პარტიულ ორნიზაციებში ჩაიარა პრინციპი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში. კომუნისტები დაბეჯითებით მოითხოვდ, რათა კიდევ უფრო გაძლიერეს ბრძოლა ყველგან და ყველაფრში პარტიული, სახელმწიფო, შრომი, საშეგსრულებო დისციპლინის დამკვიდრებისათვის.

საწარმოთა კუნსტები, ანაბალიზებენ რა ეიანი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას, ძირითად ყურადღებას უთმობდნენ წარმოებეფექტიანობის ამაღლების, ეკიური პროგრესის დაჩქარ, შრომის ნაყოფიერების ზრ ბრობლემებს. ისინი აფეგბენ ინიდადებებს ადგილებ ბ ბნ, ლენინგრადს, სვერდლოვ, თბილისს, რუსთავს მოვე შრომითი კოლექტივების გამოცდილების უკეთ დანერგ ესახებ.

სსრ კავშირშე განვლილი ხუთწლედის მანძილზე კაპიტალურ მშენებლობაში მიღწეული შედეგები ერთობ მასშტაბური და გრანდიოზულია. საკმარისია ითქვას, რომ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობამ ხუთწლედში შეადგინა 500 მილიარდი მანეთი. მარტო მრეწველობაში ამოქმედდა დაახლოებით 2 ათასი მსხვილი საწარმო და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ბევრი ობიექტი.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე მშენებლობაში დიდი მიღწევებია მოპოვებული საქართველოშიც. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ 5 მილიარდ 177,7 მილიონი მანეთი შეადგინა. ამშესაბ 72 თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი დიდი საწარმო. რეკონსტრუირებულია მოქმედი ქარხნები და ფაბრიკები. სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების ბარჯზე საეკსპლოატაციოდ გადაეცა ოთხ მილიონ 876 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები და სხვ.

როგორც ვხედავთ, მიღწევები დიდია, მაგრამ მშენებლობა რესპუბლიკაში კვლავ რჩება ჩამორჩენილ დარგად. საკმარისია ითქვას, რომ ძირითადი ფონდების ამოქმედებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ფონდების ათვისების დავალებები მეცხრე ხუთწლედის არც ერთ წელს არ შესრულებულა.

განვლილი წლების მანძილზე კაპიტალურ დაბანდებათა ფაქტიურმა ზრდამ მხოლოდ 24 პროცენტი შეადგინა დაწესებულთა 36 პროცენტის ნაცვლად. სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები სისტემატურად არ სრულდებოდა. ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის მოსახლეობამ ვერ შეიღო 420 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ცნობილია, რომ კაპიტალური დაბანდების ყოველი მანეთი საზოგადოების მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებას ემსახურება. უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები კი, რომლებიც ფონდების დროულ ამოქმედებას ემსახურება, რესპუბლიკაში კლებულობს. მაგალითად, თუ ერთ სულ მოსახლეზე 1971 წელს იგი 197,3 მანეთს შეადგენდა, 1975 წელს მან 182,7 მანეთი შეადგინა. ეს დანაკლისია საცხოვრებელი სახლები, ჯანმრთელობის ობიექტები, ქარხნები და ფაბრიკები, რომლებიც დროულად არ აიღო და მოსახლეობამ ვერ მიიღო, მაშინ, როცა რესპუბლიკაში გამოყოფილი კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ოთვეულწლიურად იზრდებოდა და იზრდება.

1975 წელს გამოყოფილი 1.134,6 მილიონი მანეთიდან ფაქტიურად ათვისებულ 1.029,3 მილიონი მანეთი (გეგმა შესრულდა 91 პროცენტით), რაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 231 მანეთის ნაცვლად 210 მანეთს შეადგენს. ასე რომ, რესპუბლიკაში ხუთწლიდის განმავლობაში გამოყოფილი 5.671 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებიდან ათვისებულ იქნა 5.177,7 მილიონი მანეთი (გეგმა შესრულდა 91,3 პროცენტით), რაც ერთ სულ მოსახლეზე, ნაცვლად 1.139 მანეთისა, 1.038,5 მანეთს შეადგენს, ე. ი. 100,5 მანეთით ნაკლებს!

როგორც სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგი, მშენებლობაც დაგეგმვით იწყება. ამიტომ რეალური გეგმის შედგენაზე ბევრად არის დამოკიდებული მშენებლობის შემდგომი წარმატება. პირველ რიგში აქ საქმე ეხება საგეგმო ორგანოების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის მთავარი სამმართველოს, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ სტანდარტი გეგმების შედგენას, რაც შემდგომ კაპიტალური მშენებლობის ნორმალური მსვლელობის საწინდარია. კაპიტალური მშენებლობის გეგმის შედგენის დროს მთელი ყურადღება — გასაშვები ობიექტებზე

დაგეგმილი უნდა ამოქმედდეს!

● რატომ არ სრულდება სამშენებლო ფონდების ათვისების დავალებები? ● მშენებლობის გეგმა რეალური უნდა იყოს ● დაუმთავრებელი ობიექტები და ახალ-ახალი მილიონები ● სახსრების დაქსაქსვას გოლო მოელოს ● ბინათმშენებლობა და არასწორი დაგეგმვა ● ორიოლელ მშენებელთა გამოცდილება — ყველას!

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲛᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲛᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ: ᲓᲐᲑᲐᲜᲓᲔᲑᲐ, ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ

ᲡᲐᲐᲛᲨᲘ სანახავია ახლა საქართველოს შავიზღვისპირეთის მანდარინის ბაღები. გამრჯე კაცის ხელი ახლა აქ იმკის მთელი წლის მანძილზე გაწეული დაძაბული შრომის ნაყოფს, დილიდან საღამომდე არ წყვეტს ენერგიულ მუშაობას.

გალის რაიონის მზიურის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში მახობრივად მიმდინარეობს მანდარინის კრეფა. მეციტრუსეებმა ვალდებულება აიღეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 2.100 ტონა მანდარინი და ფორთოხალი, რაც გეგმაზე 500 ტონით მეტია.

მეურნეობიდან მოსკოვსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში 500 ტონაზე მეტი მანდარინი გაიგზავნა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: მოხავლის აღებისას თავი გამოიჩინა ახალგაზრდა მუშამ ციალა თოლორდავამ, რომელიც დღეში 300-400 კილოგრამ მანდარინს კრეფს.

ი. ᲞᲝᲢᲘᲩᲘᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲭᲓᲘ

ᲐᲮᲚᲐᲚ მიკრორაიონში საზოგადოებრივი კვების საწარმოს ხსნიდნენ. იგი ჩაფიქრებული ჰქონდათ სპეციალიზებულ საწარმოდ, რასაც მოწმობდა ნაწი ლირიკული სახელწოდება: „სიდედრის ბლინები".

საწარმოს მომწყობებმა ყველაფერი იღონეს. საიდანღაც ცხრა მთის იქიდან, გამოიწერეს სასწაულმომქმედი ქერები, შეუკვეთეს მოშხილავი ტაფები, კედლები მოსატეს თქმულებების სიუჟეტებიანი სურათებით, მუზეუმის ნიმუშებით ოფიციანტებს შეუკერეს ფერად-ფერადი სარაფნები და თეთრი კუნკულები.

დადგა დღე, როცა „სიდედრის ბლინებმა" საზეიმოდ გახსნა თავისი მოჩუქურთმებული კარი...

— ისე ვერ გამოვიდა, როგორც უნდოდათ, — მიხვდებოდა უკვე რომელიმე მკითხველი — ალბათ პირველი ბლინი რაღაც მიზეზის გამო კუტი გამოვიდა...

დიახ, პირველი ბლინი... მწვადი გამოვიდა. მომხიბლავი ტაფები რატომღაც უმოქმედოდ იყო, სამაგიეროდ მთელი ძალით მუშაობდნენ სასწაულმოქმედი შამფურები. ვინ იცის, რატომ მოხდა ასე: იქნებ „სიდედრის" მუშაკებმა დროზე ვერ მოიმარაგეს კარაქი, იქნებ არაკენინი ბლინების ვაჭრობა რატომღაც არცთუ ისე მომგებიან საქმედ მიიჩნიეს. ოღონდ მეორე დღესაც მუშტრებს დამეუფუებულ ხეკს, სუკ-ფითის, ორთქლში მოშუშულ კატლეტს და მწვადს სთავაზობდნენ...

ᲐᲮᲚᲐ მიკრორაიონში ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲝᲒᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲐᲗᲕᲘᲗᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ? ● ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ● ᲓᲐᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ ● ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲥᲡᲐᲥᲡᲕᲐᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲝᲔᲚᲝᲡ ● ᲑᲘᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲕᲐ ● ᲝᲠᲘᲝᲚᲔᲚ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲚᲔᲑᲐ — ᲧᲕᲔᲚᲐᲡ!

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲒᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲠᲝᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘ

გასტროლები და შთაბეჭდილებები

ლეგენდარული სპექტაკლი

ვახტანგოველები თბილისში

კარლო გოცის ორმოქმედებიანი ზღაპარი „პრინცესა ტურანდოტი“ ევგენი ვახტანგოვმა 1922 წელს დადგა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც სრულიად ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა სისხლის ფასად იცავდა თავის მონაპოვარს. სწორედ ამ დროს სამხატვრო თეატრის მესამე სტუდიის სცენაზე მოხდა თეატრალური დღესასწაული.— დაიდგა „პრინცესა ტურანდოტი“. ვახტანგოვს სწამდა, რომ ასეთი სპექტაკლი სჭირდებოდა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას, მან იცოდა, რომ ახალ დადგმას მიიღებდა ჩვენი ხალხი. „ვახტანგოვის ჩანაფიქრით, — იგონებს ვახტანგოვის ყოფილი მოწაფე, ამ სპექტაკლში პრინცის როლის პირველი შემსრულებელი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ი. ზავადსკი, — სპექტაკლი ღრმად ადამიანური უნდა ყოფილიყო. წარმოდგენა, მართლაც დიდი ცხოველმყოფელი ძალისა აღმოჩნდა. ამიტომაც, ვინც კი ნახა „პრინცესა ტურანდოტის“ პირველი სპექტაკლები, იცის, რომ ამ სპექტაკლების ნახვის შემდეგ ადამიანი სულ სხვანაირად აღიქვამდა თავის თავს და მის გარშემო სამყაროს, ახლებურად იწყებდა ცხოვრებას“.

ე. სიმონოვი.

გ. ფირცხალავას მეგობრული შარჟი.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ზავადსკის ამ მოსაზრებას. მე წ�მხვდა ბედნიერება, მენახა ეს სპექტაკლი თბილისში 1925 წელს, სამხატვრო თეატრის მესამე სტუდიის გასტროლების დროს. ახლაც მახსოვს ის დიდი სიხარული, რომელიც ამ გასტროლებმა გამოიწვია ჩვენს დედაქალაქში. მაშინ 15 წლისა ვიყავი. ვინ იცის, იქნებ ამ სპექტაკლებმა გადაწყვიტა ჩემი მომავალი ცხოვრება. რა ვიფიქრებდი, რომ ამ სპექტაკლების მაშინდელი მონაწილე ი. ტოლჩანოვი და ბ. ზახავა ჩემი პირველი მასწავლებლები იქნებოდნენ თეატრალურ ხელოვნებაში.

მას შემდეგ ათეული წლები გავიდა. ღღეს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული „მეგობრობის თეატრი“ მანძეთს. და ყოველთვის ვცდილობდი საუბარი ისე ამეწყო, რომ თავის თავზე ამელაპარაკებინა. მაგრამ მურმანს ყოველთვის თავაზიანად და ძალდაუტანებლად გადაჰქონდა ხოლმე საუბარი რაზმეულის წევრებზე, ხალისით მაცნობდა კოლმეურნეობის კოლექტივის წარმატებებს, რომელიც, სხვათა შორის, რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე მეურნეობად ითვლება.

— ჩვენი სოფლის მცხოვრებლებს, — მითხრა მურმან ბაქრაძემ, — სულ ერთია, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის წევრები არიან თუ არა, თავიანთ ღვიძლ საქმედ მიაჩნიათ დაეხმარონ მესაზღვრეებს სახელმწიფო საზღვრის დაცვაში. ბევრ მათგანს არაერთხელ გამოუწერნია დიდი სიფხიზლე, მთავრობის ჯილდოც აქვს მიღებული. მაგალითად, დავასახელოთ თუნდაც ალი ვანილიში, მარიანა ტანდილავუ, აიშე ბაქრაძე. ყველანი სიამაყით ატარებენ მედალს „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“.

— ანდა თუნდაც ასეთი შემთხვევა, — განაგრძო ბაქრაძემ. — ერთ ღღეს საგუშაგოში საგანგაშო სიგნალი მოვიდა. ოფიცრები სწრაფად გაერკვნენ ვითარებაში: უცხოელი „სტუმარი“ მობრძანებულა. დაიწყო ძებნა.

... აიშე ბაქრაძე ამ დრ.ს თავის ბოსტანში მუშაობდა. მისი ყურადღება ერთმა ჭაბუკმა მიიპყრო, რომელიც საეჭვოდ იქცეოდა. „ნეტა ამას ხომ არ ეძებენ მესაზღვრეები?“ — გაიფიქრა მან და გადაწყვიტა შეემოწმებინა.

ქალმა უცნობი შინ შეიპატიჟა, აჭამა, ასვა და მისი გული მოინადირა. საუბარში თანდათან გამოირკვა, რომ სწორედ მას დაურღვევია საზღვარი. აიშემ ეს ამბავი საგუშაგოს შეატყობინა.

— ასეთი შემთხვევა ბევრი გვქონია, — ღიმილით თქვა მურმანმა — ჩვენ ყველას უპაგონო მესაზღვრეებად მიგვაჩნია თავი, მუდამ მზად ვართ დავეხმაროთ მეომრებს.

დიახ, მურმანი მეომართა ნამდვილი, ერთგული მეგობარია. ლენინური კომკავშირის პრემის ლაურეატი მწერალი ნ. დუმბაძე თავისი, ახლა უკვე ცნობილი რომანის „ნუ გეშინია, დედასთვის“ მასალებს რომ აგროვებდა, რამდენიმე თვე ამ საგუშაგოში დაჰყო, კარგად იცნობდა მურმან ბაქრაძეს და თავისი ნაწარმოების ფურცლებზე რამდენიმე გულთბილი სტრიქონიც კი უძღვნა მას.

— თავმდაბალი კაცია ჩვენი მურმანი, — მითხრა ერთხელ საგუშაგოს ყოფილმა უფროსმა, ამჟამად უნიის კომენდანტმა, ოფიცერმა გ. მეტრეველმა, — საკუთარ თავზე ვერაფერს ათქმევინებ. ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა ძებნაში, საზღვრის დამრღვევთა დაკავებაში. შრომითი ჯილდოს — „სპპატიო ნიშნის“ ორგზის გვერდით მის მკერდზე სამართლიანად ბრწყინავს საბრძოლო ჯილდოებიც: წითელი ვარსკვლავის ორდენი და მედალი „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“, რომლებიც მას მესაზღვრეთა აქტიური დახმარებისათვის მიენიჭა.

ლეიტენანტი ა. მაქსიმოვი.

მესაზღვრეთა მეგობრები

დიდი მოვალეობის გრძნობით

საზღვრისპირა სოფელში მივდიოდი დავალებით — სასაზღვრო რაზმის საბრძოლო დიდების მუზეუმისათვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის მეთაური უნდა გადამეღო. სარეისო ავტობუსში გვერდით მჯდომ ახალგაზრდას გამოველაპარაკე. როცა შევამჩნიე, რომ წამდაუწუმ ჩემი ფოტოაპარატებისაკენ გაურბოდა თვალი, ვუთხარი:

— № სოფელში მივდივარ. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს სურათი უნდა გადავუღო.

— მისი გვარი თუ იცით?

— არა.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ჭაბუკი მომიბრუნდა, ცოტა არ იყოს, ხმა დაიბოხა და მითხრა:

— მე ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის წევრი გახლავარო. გთხოვთ საბუთები წარმოადგინოთ.

ახალგაზრდა რაზმელმა საბუთები შეამოწმა, თან მომიბოდიშა:

— იცით რა, ექვი შემეპარა. № სოფელში მიდის, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის გვარი კი არ იცის-მეთქი. ჩვენში მურმან ხამდის-ძე ბაქრაძეს ყველა იცნობს. ჩვენში კი არა — მთელ რესპუბლიკაში იცნობენ...

მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ მართლაც ასე ყოფილა.

მურმან ბაქრაძეს სოფლის შარაგზაზე შევხვდი. კოლმეურნეებთან ერთად მოდიოდა, რაღაცაზე გაცხოველებით ესაუბრებოდა. ჩემი თხოვნა მოიხმინა (მე კი ვთხოვე, „საგარეო“ პიჯაკი ჩაიცვიო, საგუშაგოში მოდით, სურათი უნდა გადაგიღოთ-მეთქი), გაეღიმა: „კეთილი, მოვალ, ოღონდ ახლა ვერა, მოგვიანებით...“

ზუსტად 19 საათზე მორიგემ საგუშაგოს უფროსს მოახსენა:

— ამხანაგო მაიორ.ო, მურმან ხამდის-ძე გეახლათ...

ჩემთვის გავიფიქრე, რა კარგად იცნობენ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს საგუშაგოს მესაზღვრეები — მეთქი. ეტყობა, აქ ხშირი და სასურველი სტუმარი უნდა იყოს.

სურათი სწრაფად გადავუღე. მაგრამ მურმანი წასვლას არ ჩქარობდა.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის მეთაურმა საგუშაგოს უფროსთან კიდევ ერთხელ დაუზუსტა რაზმელთა სამსახურის გრაფიკი, დიდხანს ესაუბრა მესაზღვრეებს...

მერე ბევრჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს. და ყოველთვის ვცდილობდი საუბარი ისე ამეწყო, რომ თავის თავზე ამელაპარაკებინა. მაგრამ მურმანს ყოველთვის თავაზიანად და ძალდაუტანებლად გადაჰქონდა ხოლმე საუბარი რაზმეულის წევრებზე, ხალისით მაცნობდა კოლმეურნეობის კოლექტივის წარმატებებს, რომელიც, სხვათა შორის, რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე მეურნეობად ითვლება.

— ჩვენი სოფლის მცხოვრებლებს, — მითხრა მურმან ბაქრაძემ, — სულ ერთია, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის წევრები არიან თუ არა, თავიანთ ღვიძლ საქმედ მიაჩნიათ დაეხმარონ მესაზღვრეებს სახელმწიფო საზღვრის დაცვაში. ბევრ მათგანს არაერთხელ გამოუწერნია დიდი სიფხიზლე, მთავრობის ჯილდოც აქვს მიღებული. მაგალითად, დავასახელოთ თუნდაც ალი ვანილიში, მარიანა ტანდილავუ, აიშე ბაქრაძე. ყველანი სიამაყით ატარებენ მედალს „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“.

— ანდა თუნდაც ასეთი შემთხვევა, — განაგრძო ბაქრაძემ. — ერთ ღღეს საგუშაგოში საგანგაშო სიგნალი მოვიდა. ოფიცრები სწრაფად გაერკვნენ ვითარებაში: უცხოელი „სტუმარი“ მობრძანებულა. დაიწყო ძებნა.

... აიშე ბაქრაძე ამ დრ.ს თავის ბოსტანში მუშაობდა. მისი ყურადღება ერთმა ჭაბუკმა მიიპყრო, რომელიც საეჭვოდ იქცეოდა. „ნეტა ამას ხომ არ ეძებენ მესაზღვრეები?“ — გაიფიქრა მან და გადაწყვიტა შეემოწმებინა.

ქალმა უცნობი შინ შეიპატიჟა, აჭამა, ასვა და მისი გული მოინადირა. საუბარში თანდათან გამოირკვა, რომ სწორედ მას დაურღვევია საზღვარი. აიშემ ეს ამბავი საგუშაგოს შეატყობინა.

— ასეთი შემთხვევა ბევრი გვქონია, — ღიმილით თქვა მურმანმა — ჩვენ ყველას უპაგონო მესაზღვრეებად მიგვაჩნია თავი, მუდამ მზად ვართ დავეხმაროთ მეომრებს.

დიახ, მურმანი მეომართა ნამდვილი, ერთგული მეგობარია. ლენინური კომკავშირის პრემის ლაურეატი მწერალი ნ. დუმბაძე თავისი, ახლა უკვე ცნობილი რომანის „ნუ გეშინია, დედასთვის“ მასალებს რომ აგროვებდა, რამდენიმე თვე ამ საგუშაგოში დაჰყო, კარგად იცნობდა მურმან ბაქრაძეს და თავისი ნაწარმოების ფურცლებზე რამდენიმე გულთბილი სტრიქონიც კი უძღვნა მას.

— თავმდაბალი კაცია ჩვენი მურმანი, — მითხრა ერთხელ საგუშაგოს ყოფილმა უფროსმა, ამჟამად უნიის კომენდანტმა, ოფიცერმა გ. მეტრეველმა, — საკუთარ თავზე ვერაფერს ათქმევინებ. ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა ძებნაში, საზღვრის დამრღვევთა დაკავებაში. შრომითი ჯილდოს — „სპპატიო ნიშნის“ ორგზის გვერდით მის მკერდზე სამართლიანად ბრწყინავს საბრძოლო ჯილდოებიც: წითელი ვარსკვლავის ორდენი და მედალი „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“, რომლებიც მას მესაზღვრეთა აქტიური დახმარებისათვის მიენიჭა.

ლეიტენანტი ა. მაქსიმოვი.

სამშობლოს სადარაჯოზე

გმირის ხსოვნის საგუშაგოზე

ყოველთვის, როცა განაწესში მიდიან, ახალგაზრდა მესაზღვრე მეომრები გმირის ბრინჯაოს ბიუსტთან წუთიერი დუმილით პატივს სცემენ ხოლმე მის ხსოვნას. ასეთი ტრადიცია დამკვიდრდა ივანე ვასიუხნოს სახელობის ფრიადოსან სასაზღვრო საგუშაგოზე, რომელიც ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო საზღვრის ერთ-ერთ მონაკვეთზე მდებარეობს.

1948 წლის ცხელ ზაფხულში ვასიუხნო საზღვრის დაცვის სამსახურში მტრებთან შეტაკებისას მამაცთა სიკვდილით დაიღუპა.

სურათებზე: მარცხნივ — ქვემოთ — ივანე ვასიუხნოს სახელობის სასაზღვრო საგუშაგოს საბრძოლო და პოლიტიკური მოამზადების ფრიადოსნები ვალერი სკოტარევი და ვიტალი შესტაკოვი სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის დროს; მარჯვნივ — ჩინებულად მსახურობენ საზღვრის დაცვისათვის ნიკოლოზ ზნიტჩენკო და სერგი სერგეევი.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ხელგურთი

სასახლის სარბიელზე

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე ხელბურთელ ვაჟთა მე-10 ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის მორიგი ოთხი შეხვედრა.

საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებმა გდრ-ის გუნდთან ერთი ქულით წააგო პირველი ტაიმიც (10:11) და მატჩიც — 20:21.

თუმცა ესპანელებმა იუგოსლავიელებთან შეხვედრაში დამთმეს პირველი ხახვარი — 12:13, ფიხალური სასტვენისათვის შეძღლეს წინ ყოფილიყვნენ — 24:22.

რუმინეთის გამოცდილ გუნდთან საქართველოს ნაკრები მე-13 წუთისათვის „მშრალი ანგარიშით“ აგებდა — 0:5, მაგრამ შემდეგ მასპინძლებმა ექვსი წუთის განმავლობაში ექვსი ბურთი გაიტანეს. სტუმრებმა მაინც შეძლეს ტაიმის მოგება სამი ქულით — 11:8, ხოლო საბოლოოდ გაიმარჯვეს 8 ქულის სხვაობით — 23:15. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ხელბურთელებმა ვერ გამოიყენეს 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმების უმრავლესობა.

ამ დღის ბოლო მატჩი იყო სსრ კავშირისა და პოლონეთის ნაკრებთა შეხვედრა, რომელიც მოიგეს ჩვენმა ხელბურთელებმა — 27:15 (11:9).

კალათბურთი

მესამე გამარჯვება

გუშინ საღამოს ჩვენი დედაქალაქის სპორტის სასახლე კვლავ გაიესო მაყურებლებით — თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩში მასპინძლობდნენ მინსკის რტი-ს.

დაწყებული პირველივე წუთიდან მასპინძლები მატჩის ბოლომდე ფლობდნენ ინიციატივას და დამაჯერებლად გაიმარჯვეს ანგარიშით 103:88 (55:38). ეს თბილისის „დინამოს“ ზედიზედ მესამე მოგებაა.

მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ გუშინი (რტი) —37 ქულა და პულავსკი („დინამო“)— 31 ქულა.

ამ კოლექტივების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 86:66 (37:36).

ჭადრაკი

ბ. გურგენიძე — პირველ ადგილზე

დამთავრდა ვ. ჭარხელაძის მემორიალი

ვ. ჭარხელაძის მემორიალის უკანასკნელ, მეთხუთმეტე ტურში ბშრმენინმმ მოუგო ჩიქოვანს, 10 ქულა მოაგროვა და გაინაღდა პირველი ადგილი. კუზმინ-ლერნერის პარტია ყაიმით დამთავრდა. გიორგაძემ მოუგო მიქაძეს, უბილავამ — ბოკუჩავას. ამრიგად, გიორგაძემ, უბილავამ და ლერნერმა ტურნირი 9,5 ქულით დაამთავრეს და მე.ორე-მეოთხე ადგილები გაიყვეს. ზაინიმა მოუგო გედევანიშვილს, სტურუა ყაიმზე შეუთანხმდა ანიკაევს, 8 ქულა მოაგროვა და შეასრულა ოსტატის წოდების მოსაპოვებლად საჭირო ქულათა ნორმა. ხოლმოვი და მიხალჩინინი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დღეს დამთავრდება ჯანოვე-ლუტიკოვის უკანასკნელი გადადებული პარტია და ტურნირიც საზეიმოდ დაიხურება.

ფეხბურთი

მატჩი ტურინში

რომი, 25 ნოემბერი. (საკდესის კორ.). დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელებმა ტურინში წააგეს უეფა-ს თასის გათამაშების მეორე დფინალის პირველი მატჩი „იუვენტუსთან“. მატჩის ანგარიშია 3:0 (3:0) იტალიელთა სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს ბეტეგამ, ტარდელიმ და ბონისენიამ.

უეფა-ს თასზე

ევროპის ტრადიციულ საფეხბურთო ოთხშაბათს გაიმართა უეფა-ს თასის გათამაშების კიდევ ერთი მატჩი.

ბილბაოს „ატლეტიკმა“ თავის მოედანზე მოუგო იტალიის „მილანს“ — 4:1, ინგლისის „კუინზ პარკ რეინჯერსმა“ — გფრ-ის „კიოლნს“ — 3:0, გდრ-ის „მაგდებურგმა“ — უნგრეთის „ვიდეოტონს“—5:0, საბერძნეთის აეკ-მა — იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას“— 2:0, ბელგიის „ბოლონ-ბეკმა“—გფრ-ის „შალკე-04“-ს— 1:0; შეეცილის „ესტერი“ დამარცხდა ესპანეთის „ბარსელონასთან“ — 0:3, ესპანეთის „ესპანიოლი“ კი — ჰოლანდიის „ფეიეენოორდთან“ — 0:1.

მიწისძვრა თურქეთსა და ირანში

ანკარა, 25 ნოემბერი. (საკდესი). ძლიერი მიწისძვრა—7,6 बალი (რიხტერის სკალით) მოხდა გუშინ აღმოსავლეთ ანატოლიაში, ვანის ტბის რაიონში. როგორც ვანის ვილაიეთის ვიცე-გუბერნატორმა ი. ილმაზმა განაცხადა, ქალაქი მურადიე და ორასამდე თურქული სოფელი თითქმის მთლიანად დანგრეულია.

წინასწარი მონაცემების თანახმად, დაიღუპა 3 ათასამდე კაცი. ათასობით მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა, დაირღვა სატელეფონო კავშირი, დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები. მიწისძვრის რაიონში გაგზავნილია კარვების, საბნების, მედიკამენტების პირველი პარტიები. უეცარი აცივება (ცელსიუსით 11 გრადუსამდე), ძლიერი თოვა და მეტწილ მთის სოფლებთან კავშირის გაწყვეტა მნიშვნელოვნად აძნელებს მაშველ სამუშაოებს, რასაც იქ გაგზავნილი ჯარის ქვეგანაყოფები ეწევიან.

ეს მიწისძვრა ყველაზე ძლიერია თურქეთის ტერიტორიაზე 1939 წლის მიწისქვეშა ბიძგების შემდეგ, როცა 25 ათასი კაცი დაიღუპა.

თეირანი, 25 ნოემბერი. (საკდესი). ირან-თურქეთის საზღვრის მახლობლად ირანის ჩრდილო-დასავლეთ მთიან ნაწილში გუშინ მომხდარმა მიწისძვრამ დასახლებული პუნქტები მნიშვნელოვნად დაანგრია. თეირანის უნივერსიტეტის სეისმური სადგურის მონაცემების თანახმად მიწისძვრის ძალა 6 ბალს შეადგენდა რიხტერის სკალით.

ბ. წერეთელი

ქართველ ისტორიკოსთა რიგებს გამოაკლდა თვალსაჩინო მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, 1938 წლიდან სკკპ წევრი, ისტორიის შეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის პროფესორი კონსტანტინე ევაკის-ძე **წერეთელი.**

კონსტანტინე წერეთელი დაიბადა 1911 წლის 8 სექტემბერს სოფელ ნაგარევში (თერჯოლის რაიონი), მუშის ოჯახში. მან საშუალო სპეციალური განათლება მიიღო ქუთაისში. 1939 წელს დაამთავრა მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორიის სპეციალობით, ხოლო 1941 წელს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა.

კონსტანტინე წერეთელმა შრომითი საქმიანობა სასკოლო ასაკიდანვე დაიწყო, რიგითი მუშიდან პროფესორამდე განვლო შრომისა და ბრძოლის სახელოვანი გზა. კონსტანტინე წერეთელი სხვადასხვა დროს ეწეოდა ნაყოფიერ პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ მუშაობას.

კ. წერეთელი მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. მძიმე ჭრილობის გამო დემობილიზებულ იქნა საბჭოთა არმიიდან. შემდგ მუშაობდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. იგი იკვლევდა პარტიის, კერძოდ, საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის აქტიურ პრობლემებს. მის კალამს ეკუთვნის 40-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი.

პროფესორ კ. წერეთლის თავდადებული ბრძოლა და შრომა სამშობლოსათვის აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით.

თავმდაბალი და სპეტაკი კომუნისტის, მეცნიერისა და მოქალაქის კონსტანტინე წერეთლის ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მისი მეგობრების, ამხანაგების, აღზრდილების გულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“; საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექცია.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ტელევიზია

26 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30— მულტიპლიკაციური ფილმი, 10.45 — დოკუმენტური ფილმი „დონეცკელი ქალიშვილები“ (ქართულ ენაზე), 11.15— იუგოსლავური მხატვრული ფილმი „ბრძოლა ნერეტვაზე“. II სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა, 17.25 — პირველად ჩვენს ეკრანზე კინონარკვევი „კომკავშირი მშენებლობაზე“,17.35— უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 18.05 — განცხადებები, 18.10 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 18.55 — მოსწავლეთათვის — შეხვედრა საინტერესო ადამიანებთან — „ევგენი ხარაძე“, 19.30 — „ბომბი“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.05 — „ჩვენი ბიოგრაფია. 1920 წელი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.05 — „ჩვენი სამკითხველო დარბაზიდან“, 21.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მალტა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — „მსახიობი და როლები“ — მარინე თბილელი.

მეორე პროგრამით

18.05 — სტუდენტთათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 18.50 — კინონარკვევი — „მინდა ვიყო“, 19.10 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 20.00 —დოკუმენტური ფილმი „მოლდავური ესკიზები“, 21.00 — მხატვრული ფილმი „ცხოვრების ფურცლები“.

თეატრები

26 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ერთაძეანი ბალეტები; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **გმირთა ვარამი;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ძველი თბილისის სურათები;** მინიატურების სახელმწიფო თეატრი—**ფრთხილად ძმრებო;** ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — **უბედურება.**

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 28 ნოემბერს.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს 1976-77 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ—დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. **ზოოსაინჟინრო ფაკულტეტი** (ქართული და რუსული სექტორები) — ზოოინჟინრის სპეციალობით.

2. **სავეტერინარო ფაკულტეტი** (ქართული სექტორი) — ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

ზოოსაინჟინრო ფაკულტეტზე მიიღებიან სრული ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები, რომლებიც მუშაობენ არჩეული სპეციალობით.

სავეტერინარო ფაკულტეტზე მიიღებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ საშუალო სავეტერინარო განათლება და მუშაობენ სპეციალობის მიხედვით.

ინსტიტუტში შემომსვლელთათვის მოუწყობა მისალები გამოცდები შემდეგ საგნებში:

ქართულ სექტორზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბიოლოგიაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი).

რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბიოლოგიაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი).

ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები ან სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ბიოლოგიაში. აღნიშნულ საგანში ფრიადი (ხუთი) შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ ან „სამი“ შეფასების მიღებისას აბარებენ სხვა საგნებსაც.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებით, ინსტიტუტში ჩარიცხვა — 1976 წლისათვის დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

განცხადება მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე, არჩეული ფაკულტეტის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნის შესახებ. 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები. 3. ცხობა საწარმოო მუშაობის სტაჟის შესახებ — ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი მოცემული წლისათვის და გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა წლების მიხედვით. საბჭოთა მეურნეობის მუშები შრომის წიგნაკიდან ამონაწერთან ერთად იდგენენ ცნობას, რომელშიც აღინიშნება მათი გამომუშავება თვეების მიხედვით. მეურნეობათა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა იმ მუშაკებს მიერ წარმოდგენილ ცნობებში, რომელთაც არა აქვთ მუდმივი ხელფასი, აღნიშნულ უნდა იქნას ყოველთვიური გამომუშავება და მეოთითოს მუშაკის საშუალო გამომუშავება მოცემული წლისათვის. სასწავლებელში მოვლენებულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ერთიანი ფორმის მომართვა (დანართი № 6). სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან ახლად დემობილიზებულნი იდგენენ ცნობას სამხედრო კომისარიატიდან. 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა №286), 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. 6. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ და დამოწმებული, ზომა 2X4 სმ.).

ინსტიტუტში შემომსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 26 დეკემბრამდე, ყოველდღე, გარდა კვირაოღისა, 12-დან 16 საათამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 1977 წლის 4 იანვრიდან 20 იანვრამდე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმდებ კომისიაში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, კრწანისი. საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი. ავტობუსი № 23.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1976 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. აგროქიმია; (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ 1 ადგილი); 2. ფიტოპათოლოგია და მცენარეთა დაცვა (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ 1 ადგილი, წარმოებისაგან მოწყვეტით 1 ადგილი); 3. ტყის მეურნეობის ეკონომიკა, მართვის ორგანიზაცია და დაგეგმვა. (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ 1 ადგილი);

წარმოებისაგან მოწყვეტით ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე, ხოლო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ — 45 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება, გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და არა ნაკლები ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არჩეულ სპეციალობაში უმაღლესის დამთავრების შემდეგ.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2 ფოტოსურათი 4X6 სმ; 2. ავტობიოგრაფია, 3. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, 4. გამომქვეყნებული სამეცნიერო შრომების, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშების სია, ცნობები გამოგონებების, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შესახებ, ამ პირებს, რომლებსაც არა აქვთ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშებში, აგრეთვე საცდელ-საკონსტრუქტორო ნაშრომები და გამოგონებები, უნდა წარმოადგინონ მოხსენებები (რეფერატები) არჩეული სპეციალობის მიხედვით; 5. ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი ამ პირთათვის, რომლებსაც ეძლევათ რეკომენდაცია ასპირანტურაში მიღების თაობაზე უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ; 6. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი; 7. მოწმობა (№ 6 ფორმით) იმ პირთათვის, რომლებსაც ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო გამოცდები; 8. საუთი პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ (ამონაწერი ომის წიგნაკიდან); პასპორტი და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასპირანტურაში შემსვლელი წარმოადგენს პირადად.

ასპირანტურაში შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ სპეციალობაში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის მოცულობით.

მოქალაქეებს, რომლებიც დაიშვებიან ასპირანტურის მისაღებ გამოცდებზე, ეძლევათ 30